ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135223343**
თარიღი:**30/11/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის, I- პუნქტის, ,,გ.ა" ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური

2022 წლის 9 თვის ანგარიში

სარჩევი

სარჩევი 1

შესავალი 2

ბიუჯეტის გეგმა-შესრულება (III კვარტალი) 3

შემოსულობების ვიზუალიზაცია 3

გადასახდელების ვიზუალიზაცია 5

შემენილი ქონება 6

მიმდინარე ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები 7

ტურიზმი 9

მოსწავლეთა ტრანსპორტირება 11

გადასახური მასალით დახმარების პროგრამა 11

შესავალი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველო, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №29 დადგენილების, სახელდობრ "მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დებულების,სხვა სამართლებივი აქტების საფუძველზე და მათ შესაბამისად.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისათვის, ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კერძო საქმიანობის სტიმულირება, ინვესტიციების მოზიდვა და ახალი, გრძლევადიანი სამუშაო ადგილების შექმნა, პრიორიტეტული მიმართულებებია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წარმმართველი და ყველაზე მეტად განვითარებული ტურიზმის სექტორია, რომელიც ძირითადად სათავგადასავლო, სპორტული (სათხილამურო და მთამსვლელობის) კულტურულ-შემეცნებითი, გასტრონომიული და ეკო მიმართულებით ვითარდება. თუმცა, მუნიციპალური შემოსავლების თვალსაზრისით ტურიზმის სფერო არაა შემოსავლიანი. მზარდი ტურიზმის სფერო სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის თვითდასაქმების ერთ-ერთ ძლიერ ბერკრტს წარმოადგენს, თუმცა, მუნიციპალურ ბიუჯეტში მოცემული სფეროდან შემოსავლები ძალიან დაბალია.

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია. ბოლო წლებში მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა საკვანძო გარე და თავად მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურულმა და სხვა ტიპის ინვესტიციებმა – მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ტემპი დააჩქარა.

მუნიციპალურ შემოსავლებში წამყვანი გახლავთ საგადასახადო შემოსავლები, კერძოდ კი ქონების გადასახადი (შემოსულობების 32.2%). ქონების გადასახადი, როგორც მუნიციპალური ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი წყარო – მესტიაში არსებული ჰიდრო-ელექტრო სადგურების ქონების გადასახადებით იკრიბება. მუნიციპალური მიწების აღნაგობით ჰეს-ებისთვის გადაცემიდან მესტიის მუნიციპალიტეტი ასევე იღებს შემოსავალს (შემოსულობების 0.8%). შესაბამისად, ჰეს-ებიდან მიღებული შემოსავალი მუნიციპალური შემოსავლების მიახლოებით მესამედს შეადგენს (33%).

ბიუჯეტის გეგმა-შესრულება (III კვარტალი)

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის III-კვარტლის გეგმა-შესრულება ნაზარდი ჯამით შეადგენს:

- **შემოსულობები** - გეგმა 22 671.4 ათას ლარს, ფაქტი ხაზინის მონაცემებით 21 766.5 ათასი ლარი(96%).
- **გადასახდელები** - გეგმა 26 384.4 ათასი ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით - 20 824.3 (ათასი ლარი(79%)).
- **2021 წლიდან გადმოსული ნაშთი** (სამი კვარტლის გეგმა ნაზარდი ჯამით)- 3 713 042 ლარი.

შემოსულობების ვიზუალიზაცია



ფიგურა 1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობები.: გეგმა და ფაქტი.



ფიგურა 2. ძირითადი შემოსულობების 2022 წლის გეგმა-ფაქტი.

ფიგურა 3. მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობების გადანაწილება.

გადასახდელების ვიზუალიზაცია



ფიგურა 4. მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის III კვარტლის გადასახდელების გეგმა-შესრულება.

ფიგურა 5. მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის III კვარტლის გადასახდელების გადანაწილება სფეროებად.

შეძენილი ქონება

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წლის 6 თვის მანძილზე მოახდინა 4 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესყიდვა და გააფორმა **5 ნასყიდობის** ხელშეკრულება. მათგან 2 მიწა ბეჩოში (სასაფლაოსთვის), 1 ეცერში(სპორტ დარბაზისთვის) და 2 მიწა დაბა მესტიაში შეძენილ იქნა გზისთვის. სულ 2022 წელს ამ მიზნობრიობებით დახარჯულ იქნა **78 735 ლარი.**

ცხრილი #1. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი ქონება 2019-2022 წწ.

ხელშეკრ. თარიღი	ხელშეკრ. ნომერი	ნასყიდობის აღწერა	მიზნობრიობა	საკადასტრო კოდი, თემი	თანხა, ფართობი
04.11.2022	20	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საავტომობილო გზის მშენებლობა	42.06.47.800	10 954ლ 134 კვ.მ.
27.07.2022	14	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სასაფლაოს მოსაწყობად	42.09.37.375	18 000ლ 1000კვ.მ
18.07.2022	12	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სპორტდარბაზის მშენებლობის მიზნით	42.11.35.012	26 730ლ 1215 კვ.მ
06.07.2022	7/1	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სასაფლაოს მოსაწყობად	42.09.37.323	16 920ლ 940კვ.მ
05.04.2022	4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	საავტომობილო გზის მშენებლობა	42.06.47.730	6 131ლ 75 კვ.მ

მიმდინარე ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მერიის 2022 წლის გეგმიურ ბიუჯეტზე და მის ეფექტიანობასა და იმ სიკეთეებზე, რაც თითოეულ პროექტს მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

მუნიციპალიტეტის დამტკიცებული სტრატეგიიდან გამომდინარე ძირითადი ორიენტირი არის ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება.

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის 9 თვის გეგმა ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციისთვის შეადგენს 15 237 866 ლარს, ხოლო შესრულება 10 671 639 ლარია.

მესტიის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან პროგრამით (და მესტიის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით) გათვალისწინებული მიმდინარე ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი საკვანძო პროექტები (წარმოდგენილია დიაგრამის სახით - ფიგურა 5).



ფიგურა 6. ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები. ნაჩვენებია პროექტის მთლიანი ღირებულება (ლურჯი), 2022 წლის გეგმა (ყვითელი) და მიმდინარე წლის III კვარტლის შესრულება (მწვანე).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული მიმდინარე ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები კი არის:

- დაბა მესტიაში ქუჩის საყრდენი კედლების აშენება, რომლისთვისაც მიმდინარე წელს დაიხარჯა 212'827 ლარი.
- ლენჯერში სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომლისთვისაც წელს დაიხარჯა 74'699 ლარი.
- იფარში (ნაკიფარში) დაწყებულია საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლისთვისაც გაწეულია 76'000 ლარის ღირებულების სამუშაოები.

მნიშვნელოვანია გამოიყოს ის ინფრასტრუქტურული ინვესტიციები მესტიის მუნიციპალიტეტში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. მათ შორის: მიმდინარეობს ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში 2, ხოლო ბეჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში 1 საჯარო სკოლის მშენებლობა. აგრეთვე, მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფ. ჭოლაშში, დაბა მესტიასა და სოფ. მაზერში. მოგახსენებთ, რომ მგფ-ის დაფინანსებით უკვე აშენდა 2 საბავშვო ბაღი ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში და 1 საბავშვო ბაღი მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ტურიზმი

ამ მხრივ გამოვყოფთ ორ ძირითად აქტივობა/პროექტს, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განხორციელდა:

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „ემ თი ეი"-ს და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის 2019 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში USAID – s მხარდაჭერით და დაფინანსებით 2021 წლის მარტში განხორციელდა პროექტი „ფრირაიდის ტრენინგი, ღონისძიებების მართვა და უსაფრთხოების ტრენინგ კურსი", რაც მოიცავდა **საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე მსოფლიო საკვალიფიკაციო შეჯიბრის (FWQ) ჩატარებისთვის საერთაშორისო ექსპერტების მიერ მთის კურორტებზე ადგილის შესწავლასა და სამაშველო გუნდის გადამზადებას.** აღნიშნული პროექტი საქართველოში პირველი **ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურის** ჩატარების წინაპირობა და მოსამზადებელი ეტაპი იყო. შედეგად, 2021 – 2022 წლების ზამთრის სეზონზე (8-12 თებერვალს) შპს „ემ თი ეი"-მ, USAID-ის მხარდაჭერით და ფრანგული კომპანიების CDA Management/Evolution2 პარტნიორობით **კურორტ თეთნულდზე ჩატარდა ფრირაიდის 2* და 4* კატეგორიის შეჯიბრი, რაც ხარისხობრივად ახალი სიტყვაა მესტიის განვითარებაში და**

უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯია სვანეთის სამთო სათხილამურო ტურიზმის წინსვლისთვის. მესტიის მუნიციპალიტეტის მერია და დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია „შან ლენდი“ ფრირაიდის პირველი მსოფლიო საკვალიფიკაციო ეტაპების მხარდამჭერები და თანაორგანიზატორები იყვნენ.

კურორტ თეთნულდზე ფრირაიდის (Freeride) მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო (FWQ) ეტაპი

2022 წლის 8 – 12 თებერვალს პირველად სვანეთის ისტორიაში, სვანეთმა ფრირაიდის (Freeride) მსოფლიო ტურის უმაღლესი დონის საკვალიფიკაციო (FWQ) შეჯიბრს უმასპინძლა. კვირეულისთვის ლოკაციად შეირჩა მესტიის მუნიციპალიტეტი, თეთნულდის სამთო - სათხილამურო კურორტი და მისი მიმდებარე არეალი.

თეთნულდზე ფრირაიდის მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო ორვარსკვლავიანი ეტაპი ჩატარდა და მასში ოცამდე ქვეყნის 77 ათლეტი მონაწილეობდა. საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულები გამოვლინდნენ ორ კატეგორიაში: თხილამურებსა და სნოუბორდში, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა ფრირაიდის მსოფლიო წამყვან სპორტსმენებთან ერთად ქართველმა მოთხილამურეებმა და სნოუბორდერებმა მიიღეს, მათ შორის შვიდი მონაწილე გახლდათ მესტიის მუნიციპალიტეტიდან, რომელთაგან ერთერთი მონაწილე ორვარსკვლავიან საკვალიფიკაციო ეტაპზე Wild Card-ის მფლობელი გახდა.

2. HIGHLANDER Adventure – ის გრძელ დისტანციაზე ლაშქრობის გლობალური ღონისძიება წელს საქართველოში, კერძოდ სვანეთში გაიმართა. HIGHLANDER Georgia - თავგადასავლების მაძიებლებს 2022 წლის 25 – 27 აგვისტოს სვანეთში უმასპინძლა. 15 ქვეყანა, 30 განსხვავებული ლოკაცია და ათასობით მონაწილე - „HIGHLANDER” გრძელ დისტანციაზე ლაშქრობის გლობალური სერიისა და პირველი სათავგადასავლო ლაშქრობა მოეწყო.

15 ქვეყანასთან ერთად HIGHLANDER - ის ოფიციალურ ვებგვერდზე ქართული დროშა გამოჩნდა, რაც იმას ნიშნავს რომ ტურიზმის სფეროში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

მოსწავლეთა ტრანსპორტირება

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო სკოლებში მოსწავლე ბავშვთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულება გაფორმებულია 72 მეწარმესთან, ჯამური ღირებულებით 593 557ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა ტრანსპორტირება მეორე სემესტრში 96 დღის ხანგრძლივობით (დღეში 1410 კმ) , ბავშვთა რაოდენობა კი გახლავთ 1396.

გადასახური მასალით დახმარების პროგრამა

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა, რომელიც 2022 წელს მცირედი განახლებებით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დინამიური სოციალური პროექტია, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას. კერძოდ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდა გადასახური მასალის შესყიდვა, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2022 წლის #5 დადგენილების შესაბამისად გაიცემა დაინტერესებულ პირებზე და ფორმდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს ეძლევათ 3 თვიანი ვადა გადასახური მასალის ათვისების/გამოყენებისთვის. მოგეხსენებათ, რომ წინა წლებთან შედარებით ეს განახლება გახლავთ, რადგან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული გადასახური მასალა მიზნობრივად გადაეცემა მოქალაქეს და მუნიციპალიტეტი იტოვებს ბერკეტს იმისა, რომ გადასახური მასალა იქნება სწორად და დროულად გამოყენებული მოქალაქეების მიერ. არსებული მდგომარეობით 2022 წელს უკვე შესყიდულია 30 ათასი კვადრატული მეტრის თუნუქის გადასახური მასალა. 1-ელი ოქტომბრის მდგომარეობით გაცემულია 11 ათასამდე კვ.მ. გადასახური მასალა მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 68 ოჯახისთვის. გადასახური მასალით დახმარების პროგრამა ამ ფორმატში, გარდა იმისა, რომ ცალსახად გააუმჯობესებს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს და ცხოვრების პირობებს ჩვენი მოქალაქეებისთვის - უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია მესტიის მუნიციპალიტეტის ერთიანი ურბანული გარემოს შექმნისა და მესტიაში საცხოვრებლად დაბრუნების მსურველი მოქალაქეებისთვის სათანადო პირობების შექმნის პროცესში, რითაც დააჩქარებს მათ დაბრუნებას.

პროექტი

ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ნოემბრის №--- მომართვის საფუძველზე,

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) წინადადება.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი მესტიის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.
3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროექტების მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდეს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და „განისაზღვროს პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში, შესაბამის წელს ასანაზღაურებელი თანხების არანაკლებ 5%-ის ოდენობით, გარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების 31 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
4. ნება დაერთოს მერს, ეს განკარგულება და ამ განკარგულებით მოწონებული წინადადება (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია) წარადგინოს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
5. წინამდებარე განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას;

ბ) ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე;

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12)

<u>პროექტი</u>

დანართი №1

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი მესტიის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა

42 149 076 (ლარი)

№	საპროექტო წინადადების დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის სავარაუდო ღირებულება	დაფინანსების წყარო		პროექტის შესრულების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
				სახელმწიფო ბიუჯეტი (მოთხოვნილი თანხა)	ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება)		
1	დაბა მესტიაში ჯონდო ხაფთანის ქუჩის რეაბილიტაცია	ქუჩები	648 030	615 600	32 430	2023-2024	
2	კალის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ იფრარის საავტომობილო გზის	გზები	4 334 233	4 117 500	216 733	2023-2025	

	ზეგანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია						
4	იფარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ადიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზები	6 300 000	5 985 000	315 000	2023-2025	
5	წვირმის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. იელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზები	7 200 000	6 840 000	360 000	2023-2025	
6	მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ არცხელის საავტომობილო გზისა და ხიდის რეაბილიტაცია	გზები	1 000 000	950 000	50 000	2023-2025	
7	ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ლახუშდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზები	3 912 981	3 717 300	195 681	2023-2025	
8	ლახამულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გზები	1 819 973	1 727 980	91 993	2023-2024	
9	ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ყარსგურიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზები	6 300 000	5 985 000	315 000	2023-2025	
10	ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულში ლელბაგი-იფხი-სიდიანარის სანიაღვრე არხის მშენებლობა	სანიაღვრე არხები	655 459	622 680	32 779	2023	
11	ცხუმარის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე კოლექტორის მოწყობა	სანიაღვრე არხები	411 167	390 600	20 567	2023	
12	მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი გაბიონების მშენებლობა	ნაგებობა	500 000	475 000	25000	2023	
13	ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ ქურელთან ნაპირსამაგრი გაბიონების მშენებლობა	ნაგებობა	300 000	285 000	15 000	2023	
14	დ.მესტიაში ბულვარის მოწყობა		5 500 000	5 225 000	275 000	2023-2025	